# სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამოცემა

გამოდის 1957 წლიდან

№8 (266) ოქტომბერი, 2013 წ. www.tsmu.edu


## 2013-2014 სასწავლო წლის პირველი დღე...














## დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა





**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) სამედიცინო სკოლის (ESOM)** ერთობლივი პროექტის საფუძველზე შემუშავდა **„დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა"**

ინგლისურენოვანი სწავლება და პროგრამის სტრუქტურა სტუდენტებს საშუალებას აძლევს სწავლის პროცესშივე ჩააბარონ აშშ სამედიცინო ლიცენზირების გამოცდის (USMLE) ორივე საფეხური. სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება **„დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი".**

სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა **„თეთრი ხალათების ცერემონიალი".** ღონისძიებას ესწრებოდნენ აშშ-ის ელჩი საქართველოში, ბატონი **რიჩარდ ნორლანდი**, ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის პროფესორი, საქართველოს და თბილისის საპატიო მოქალაქე, პროფესორი **კენეტ ვოლკერი**, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია**, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი **გიორგი გიორგობიანი** და სხვები.


სამედიცინო გაზეთის რედაქცია: ვაჟა-ფშაველას გამზ. №33, ოთახი 600, ტ: 254-24-64; რედაქტორი – დალი გაბეშია ტ: 599 76 25 98;
კორესპონდენტები: მანანა ფხალაძე ტ: 555 29 98 27; დარეჯან კომლაძე ტ: 558 17 08 47; ნატო ბოლქვაძე ტ: 55 28 28 97
ელ. ფოსტა: medpressa@yahoo.com

აკოლადები

# თსსუ – მნიშვნელოვან ნომინაციაში გამარჯვებული

სასიხარულოა, რომ ახლახან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სახელმწიფო უნივერსიტეტების ჩამონათვალში, დასახელდა, როგორც **„2012-13 წლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და გამჭვირვალე საქმიანობისთვის“** ნომინაციაში გამარჯვებული.

სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიაში“, „ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს (OSGF)“ და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ორგანიზებით (IDFI) ჩატარდა ანგარიშის პრეზენტ-



აცია, რომელიც მოიცავდა დეტალურ ანალიზს თემაზე – **„საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში“.**

პრეზენტაცია გახსნა „ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს“ დამფუძნებელმა **ქეთევან ხუციშვილმა;** დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**. პროექტის პრეზენტაცია წარმოადგინეს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის თავმჯდომარემ, **ლევან ავალიშვილმა** და დირექტორმა **გიორგი კლდიაშვილმა.**

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის, სამინისტროების, სახელმწიფო მინისტრის აპარატის, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულების, საქართველოს რეგიონული გამგეობების, სახელმწიფო უნივერსიტეტების, არასამთავრობო სექტორის, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თსსუ-ის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია**, უნივერსიტეტის სახელით, მადლობას უხდის პროექტის ორგანიზატორებს ჩატარებული კვლევისთვის და უნივერსიტეტის თითოეულ თანამშრომელს ულოცავს ამ მნიშვნელოვან აღიარებას.

ამერიკული პროგრამის ფარგლებში

# ახალი საგანი სამედიცინო განათლებაში...

მიმდინარე 2013-2014 სასწავლო წელს თბილისის სახელწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, მედიცინის ფაკულტეტზე, წარმატებით დაიწყო დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც შეიქმნა თსსუ-ისა და ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის ერთობლივი პროექტის საფუძველზე.

ექვსწლიანი პროგრამა სრულად ინტეგრირებულია და სტუდენტები სწავლის საწყის საფეხურზე, სამედიცინო მეცნიერებებთან ერთად, სწავლობენ ჰუმანიტარულ მეცნიერებებს: სოციო-კულტურული და სამედიცინო ანთროპოლოგია, ცივილიზაციების ისტორია, ხელოვნების ისტორია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, მსოფლიო ლიტერატურა, მედიცინის ისტორია. აშშ-ის მრავალ სამედიცინო სკოლაში მოცემული საგნების სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება არსებობს და ეს ყოველივე ემსახურება ექიმის არა მხოლოდ ვიწრო მიმართულების სპეციალისტის, არამედ, როგორც ოცდამეერთე საუკუნის პროფესიონალი, ჰუმანური ექიმის ჩამოყალიბებას.

სამედიცინო განათლების სფეროში, კერძოდ, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ფარგლებში, დაინერგა ახალი საგანი - **„გახდე ექიმი“ (Becoming a Doctor).** მოცემული დისციპლინა აშშ-ის სამედიცინო სკოლებისთვისაც შედარებით ახალია (თუმცა, რამდენიმე წლიანი გამოცდილება უკვე არსებობს) და ეფუძნება მცირე ჯგუფურ, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას. „გახდე ექიმი“, შინაარსიდან გამომდინარე, სტუდენტს ეხმარება, 6 წლის განმავლობაში აქტიურად გამოიყენოს მიღებული ცოდნა პაციენტებთან მიმართებაში, განივითაროს ყველა ის უნარ-ჩვევა, რაც მას, როგორც პროფესიონალ ექიმს, აუცილებლად დასჭირდება. სტუდენტებს სწავლის დაწყებიდანვე აქვთ შეხება პაციენტებთან, კლინიკურ მედიცინასთან, რაც, თავის მხრივ, ზრდის მათ მოტივაციას, დაინტერესებას.

„გახდე ექიმი“ მოიცავს ბევრ დისციპლინას: ქცევითი და სოციალური მეცნიერებები, სამედიცინო ეთიკა, საზოგადოებრივი და გლობალური ჯანდაცვის, კლინიკური მედიცინის საფუძვლები. ის წარმოადგენს ერთგვარ მექანიზმს, რომელიც სხვა დისციპლინებთან ერთად, რომელსაც სტუდენტი 6 წლის განმავლობაში გა-



ივლის, ეხმარება ექიმად ჩამოყალიბდეს.

სემინარებზე მიმდინარეობს თანამედროვე მედიცინაში აქტუალური თემების განხილვა. პოპულაციური მედიცინა, ექიმისა და პაციენტის ურთიერთობა, კომუნიკაცია პაციენტებთან და სამედიცინო სფეროს სხვა წარმომადგენლებთან. ინტერპერსონალური უნარები, დაავადებების სტიგმატიზაცია და ა.შ. ეს ის თემებია, რომელსაც სტუდენტები პედაგოგებთან ერთად არჩევენ. ჩვენ ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კლინიკურ მედიცინაში მეტამორფოზის პროცესს. საგნის დანერგვის მთავარი მიზანი არის სწავლების პირველივე დღიდან სტუდენტს შეექმნას სწორი წარმოდგენა მედიცინაზე, ექიმობაზე.

თანამედროვე მსოფლიოში, განსაკუთრებით კი სამედიცინო განათლების სფეროში, დიდი ყურადღება ექცევა სტუდენტების ვერბალურ ინტერაქციას პაციენტებთან. ეს ყოველივე კი ექიმობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს. „გახდე ექიმი“-ს სემინარები ინტერაქტიულია და მიმდინარეობს დისკუსიების რეჟიმში. სტუდენტებს, რეგულარულად ევალებათ ამა თუ იმ თემაზე წარმოადგინონ მოხსენება აუდიტორიის წინაშე. მოხსენებისას, საკითხის მომზადების აკადემიურ ხარისხთან ერთად, დიდი ყურადღება ექცევა მომხსენებლის უნარს, გადმოსცეს და-

მუშავებული მასალა.

უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების პირველივე წელს სტუდენტებს ეძლევათ საშუალება პაციენტებთან ურთიერთობისა. პაციენტთან კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარება და ჩამოყალიბება ძალიან მნიშვნელოვანია დაიწყოს პირველივე დღიდან, რადგან პაციენტის მოვლის ხელოვნება პაციენტის მოვლის გარეშე არ ისწავლება.

საგნის მიმდინარეობისას დაგეგმილია საქართველოსა და აშშ-ში მოღვაწე წარმატებული ექიმების, პროფესორების მოწვევა, მათი მხრიდან საკუთარი გამოცდილების გაზიარება. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუ-



წყობს სტუდენტების მოტივაციის ამაღლებასა და დაინტერესებას.

და ბოლოს, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროგრამა გულისხმობს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას, რომელიც თითოეულ სტუდენტს ინდივიდუალურად ეხმარება განივითაროს ყველა – ოცდამეერთე საუკუნის წარმატებული ექიმისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევა. პერიოდულად ეწყობა ინდივიდუალური შეხვედრები სტუდენტებთან და მათ პედაგოგებთან, ინტეგრირებული სემინარები, რაც საშუალებას იძლევა სწავლების პროცესი ობიექტურად შეფასდეს და მუდმივად განვითარდეს. ასევე, ვითავსებთ სტუდენტთა სოციალური მრჩეველის სტატუსს, რაც, რა თქმა უნდა, სტუდენტების ინტერესებებს ემსახურება.

სტუდენტებო, გახსოვდეთ, რომ ჩვენ თქვენს სამსახურში ვართ!

**„გახდე ექიმი“-ს გუნდი:**
**ბექა ბახტაძე,**
**ნიკოლოზ შეყილაძე,**
**ხათუნა ლომაური,**
**თეა თოდუა**

# გრძელდება უცხოელ პროფესორთა ლექციები და ოპერაციები



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გრძელდება უცხოელ პროფესორთა ლექციები და ოპერაციები, კერძოდ, თსსუ-ს სასწავლო წლის დაწყებისთანავე ესტუმრნენ **დიდი ბრიტ-**





**ანეთის, საფრანგეთის, პოლონეთის, გერმანიის** წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორები, რომლებმაც თსსუ-ის მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტების სტუდენტებისთვის წაიკითხეს ლექციები.

თსსუ-ში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ **დუისბურგის (გერმანია) ყბასახის პლასტიკური ქირურგიისა** და **იმპლანტოლოგიური კლინიკის** პროფესორები: მთავარი ექიმი **ჰელმუტ ზიბერი, ანდრეას ჰამმახერი, ვიქტორ ვაილერტი**, დოქტორი **კარსტენ კრაბსი**.

გერმანელმა კოლეგებმა წაიკითხეს ლექციები თსსუ-ის სტომატოლოგიის ფაკულტეტის მაღალკურსელებისთვის. პარალელურად, საუნივერსიტეტო კლინიკაში ჩატარდა სხვადასხვა სახის ოპერაცია.

ჩვენს უნივერსიტეტს, ასევე, ოფიციალური ვიზიტით ეწვია **ბერლინის უნივერსიტეტის კოტბუსის კლინიკის ყელ-ყურ-ცხვირის, თავის და კისრის ქირურგიის დეპარტამენტის** ხელმძღვანელი, პროფესორი **თომას აიხჰორნი**. შეხვედრისას უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ზურაბ ვადაჭკორიამ,** მადლობა გადაუხადა პროფესორ აიხჰორნს უნივერსიტეტთან ხანგრძლივი მეგობრული ურთიერთობისთვის, რომელიც დღესაც ნაყოფიერად გრძელდება. აღსანიშნავია, რომ პროფესორ თ. აიხჰორნის თანადგომით, თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტები ყოველწლიურად გადიან სტაჟირებას ბერლინის უნივერსიტეტის კოტბუსის კლინიკის ყელ-ყურ-ცხვირის, თავის და კისრის ქირურგიის დეპარტამენტში. მან, აგრეთვე, საქველმოქმედო მისიის ფარგლებში, საქართველოში უსასყიდლოდ გაუწია კონსულტაციები პაციენტებს და უახლესი ლაზერული აპარატით ჩაატარა საქველმოქმედო ოპერაციები.



# ევროპული მეთოდოლოგიით და სტანდარტებით

თსსუ-ის ოდონტოლოგიის დეპარტამენტი ერთ-ერთი პირველია, სადაც დაინერგა და წარმატებით ტარდება **ობიეტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა**. აღნიშნული მეთოდიკა **ლიდსის (დიდი ბრიტანეთი)** სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტზე დაი-



ნერგა და ჩვენს უნივერსიტეტში იმავე მეთოდოლოგიით და სტანდარტით ტარდება.

თსსუ-ის ოდონტოლოგიის დეპარტამენტს და უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების ცენტრს ესტუმრნენ ლიდსის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორები: **გოდრი პელი** და **ნიკოლას ჰოდსონი.** მოწვევა განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული საგრანტო პროგრამის ფარგლებში.

სტომატოლოგიის ფაკულტეტის ოდონტოლოგიის დეპარტამენტში უცხოელი პროფესორების რიგით მეექვსე ვიზიტი შედგა. ლიდსის უნივერსიტეტის ესთეტიკური სტომატოლოგიის სკოლის სახელოვანი წარმომადგენლის, პროფესორ **ნიკოლას ჰოდსონის,** ლექცია საინტერესო იყო არა მხოლოდ თსსუ-ის სტომატოლოგიის ფაკულტეტის მაღალკურსელებისთვის, არამედ ექიმი რეზიდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვისაც.

უნდა აღინიშნოს, რომ პროფესორი **გოდრი პელი** ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის მოდელი შეიმუშავა და სიამოვნებით ეწევა მის პოპულარიზაციას სხვადასხვა ქვეყანაში.

შეხვედრა, რომელიც მიჰყავდა თსსუ-ის სამედიცინო განათლების, კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსს, პროფესორ **გაიანე სიმონიას,** საინტერესოდ წარიმართა, დაისვა შეკითხვები, გამოითქვა მოსაზრებები აღნიშნული საკითხის ირგვლივ.

*ფიზიოლოგთა ეროვნულ ყრილობაზე*

# ტრადიციების პატივისცემით, ღირსეულ აწმყოსა და წარმატებულ მომავალზე ზრუნვით




საქართველოს აკადემიური სფეროსთვის მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი სამეცნიერო ფორუმი ჩატარდა – **საქართველოს ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგთა საზოგადოების მესამე ეროვნული ყრილობა.** იგი საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების დაარსების 75-ე წლისთავს მიეძღვნა და საერთაშორისო მასშტაბი ჰქონდა. ქართული ფიზიოლოგიის სკოლის რენომე და ავტორიტეტი იყო და არის გამორჩეული მსოფლიოს სამეცნიერო სკოლათა შორის, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში განხორციელებულმა საზოგადოებრივ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა ინტელექტუალური პროდუქციის შექმნისა და პოპულარიზების გარკვეული, ობიექტური სირთულეები შექმნა, უპირველესად – მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების თვალსაზრისით, რაც აფერხებს თანამედროვე კვლევითი მეთოდოლოგიებისა და მეთოდების დანერგვას; ამ უკანასკნელის გარეშე კი სამედიცინო-ბიოლოგიური პროფილის კონკურენტული, საერთაშორისო ინტერესის აღმძვრელი სამეცნიერო პროდუქციის შექმნა რთულია, რომ არა – შეუძლებელი. ცხადია, ეს სირთულეები მნიშვნელოვანწილად გადაილახა და ეს პროცესი მომავალში კიდევ უფრო ეფექტურად წარიმართება. ამიტომ დღეს და უახლოეს წარსულში ქართველ მეცნიერთა კვლევითი აქტივობა მეტად დასაფასებელი და მხარდასაჭერია.

სწორედ ამ მიმართებით არის აღსანიშნავი საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების მესამე ეროვნული ყრილობა, რომელიც ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ბაზაზე და ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის ძალისხმევით ჩატარდა. არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს პროფესორ **გურამ ბექაიას** უდიდესი ღვაწლი ამ ფორუმის დაგეგმვაში და დასახული გეგმის რეალიზებაში; მნიშვნელოვანია, ასევე, საქართველოს შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერა ყრილობის ორგანიზებასა და ჩატარებაში.

ყრილობის სამეცნიერო შედეგების ანალიზი სხვა პუბლიკაციის თემა იყო, არის და მომავალშიც იქნება. ამ წერილის საგანი კი ყრილობის ორგანიზატორთა მიერ მოძებნილი ფორმაა საქართველოში ფიზიოლოგიის ღირსეული წარსულის, აწმყოს და მომავლის ორგანული კავშირის გამოსახატად; ეს ყრილობის ფორმატით ჩატარებული სამეცნიერო სექციებია, რომლებიც ქართული საბუნებისმეტყველო სამეცნიერო აზრის განვითარების საქმეში განმსაზღვრელი პოზიციის მქონე ადამიანების – აკადემიკოს **ვაჟა ოკუჯავას**, აკადემიკოს **თენგიზ ონიანის**, აკადემიკოს **კიაზო ნადარეიშვილის**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ **არჩილ ასათიანის**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ **ირაკლი ფაღავას,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ **ვახტანგ მოსიძის** ხსოვნას მიეძღვნა. თითოეული ხომ ის მეცნიერია, რომელმაც თავის სფეროში ახალ, დამოუკიდებელ სამეცნიერო მიმართულებას მისცა დასაბამი.

ამჯერად მკითხველის ყურადღებას **პროფესორ არჩილ ასათიანის** და **პროფესორ ირაკლი ფაღავას** მემორიალური სხდომების შესახებ შევაჩერებთ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დევიზი ასეთია – **„ტრადიციებით მომავლისკენ".** განვითარების ეს პრინციპი გულისხმობს წარსულის დაფასებას და იმგვარ აწმყოს, რაც მომავალი წარმატების საწინდარია. ზემოხსენებულ სხდომებზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მკვლევართა სხვადასხვა თაობის მიერ წარმოდგენილი იყო ის სამეცნიერო მოხსენებები თუ შეტყობინებები, რომელნიც ქართული მეცნიერების კორიფეების –





**არჩილ ასათიანისა** და **ირაკლი ფაღავას** სამეცნიერო მემკვიდრეობის განვითარებას ასახავდა და, ასევე, მათთან თემატურად დაკავშირებული უცხოელი კოლეგების კვლევების შედეგები.

ვეგეტატური სისტემების ფიზიოლოგიის სექცია-სხდომა პროფესორ **არჩილ ასათიანის** სახელს მიეძღვნა, რომელმაც ადამიანის ფიზიოლოგიის კვლევის ახალ ვექტორს დაუდო სათავე საქართველოში. ცხადია, ამ მხრივ ბევრი შეკითხვა არის და გაჩნდება მომავალში. ბატონი არჩილის მოსწავლეებისთვის ეს მეტად საინტერესო პერსპექტივას ხსნის მომავალი კვლევებისთვის. ამიტომაც, სხდომაზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორებმა: **დარეჯან მჟავანაძემ** და **მარინა ქუთათელაძემ** საკუთარი ექსპერიმენტული კვლევების შედეგები არჩილ ასათიანის სამეცნიერო მემკვიდრეობის ჭრილში განიხილეს. ამ და სხვა საკითხებზე მეცნიერთა შორის აზრთა ინტენსიური გაცვლა-გამოცვლა გაიმართა, რაც დისკუსიაში ჩართულთათვის თუ დისკუსიის მსმენელთათვის ერთნაირად საინტერესო და შედეგიანი იყო. მეტად მნიშვნელოვანია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის დეპარტამენტში შესრულებული კვლევა (**ირინე კვაჭაძე, გიორგი ჭიჭინაძე, ზაზა დუმბაძე** და თანაავტორები) ქალის ორგანიზმზე ბგერითი დიაპაზონის სხვადასხვა სიხშირის სუსტი ინტენსივობის ელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედების შესახებ კიეველი კოლეგების განსაკუთრებული ინტერესის საგანი გახდა და, რაც ყველაზე სასიამოვნოა, ამ მიმართულებით ერთობლივი, კოოპერირებული კვლევების გეგმები დაისახა. ასეთი მასშტაბის სამეცნიერო ფორუმების უპირველესი მიზანი ხომ სამეცნიერო ცოდნის გაზიარება და სამეცნიერო თანამეგობრობის გაფართოებაა. დაგეგმილი ერთობლივი კვლევითი აქტივობა კი სწორედ ამ მიზანს ეხმიანება.

პროფესორ **ირაკლი ფაღავას** სახელობის სხდომაზე წარმოდგენილი მოხსენებებიდან განსაკუთრებული ყურადღება და დისკუსია გამოიწვია რუსეთის განათლების აკადემიის ასაკობრივი ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, ამავე აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ **მარიანა ბეზრუკიხის** მოხსენებამ ბავშვთა და მოზარდთა ფიზიოლოგიის როლის შესახებ მასწავლებლებისა და ექიმების პროფესიულ მომზადებაში. სხდომის თავმჯდომარემ, პროფესორმა **ყარამან ფაღავამ** ყურადღება გაამახვილა დარგში სამეცნიერო კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებებზე; პროფესორ **ნინო მანჯავიძისა** და მედიცინის დოქტორ **ქეთევან მათიაშვილის** მოხსენებაში განხილულ იქნა ჯანმრთელ ბავშვთა ნეიროფსიქოლოგიური განვითარების კანონზომიერებები. დისკუსიის მონაწილეებმა (მათ შორის _ კოლეგებმა აზერბაიჯანიდან და უკრაინიდან) ხაზი გაუსვეს ბავშვთა და მოზარდთა ფიზიოლოგიის ფუნდამენტურ და გამოყენებით ასპექტებს, ამ დარგში კვლევის ინტენსიფიკაციის სტრატეგიულ მნიშვნელობას. სხდომის ყველა წევრი შეჯერდა ბავშვთა და მოზარდთა ფიზიოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის შექმნის აუცილებლობის საკითხზე. ამ გრძელვადიანი და სასარგებლო გადაწყვეტილების მიღება საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების ყრილობის კიდევ ერთი (მრავალთაგან!) მნიშვნელოვანი შედეგია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესურისა და მკვლევარების მიერ ყრილობაზე წარმოდგენილი მოხსენებები ადასტურებენ, რომ სამედიცინო უნივერსიტეტი პატივს მიაგებს ტრადიციებს, ქმნის ღირსეულ აწმყოს და ზრუნავს წარმატებულ მომავალზე – „ტრადიციებით მომავლისკენ! ".

ირინე კვაჭაძე,
**პროფესორი,
თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტის
ფიზიოლოგიის დეპარტამენტის
ხელმძღვანელი,
საქართველოს ივანე
ბერიტაშვილის ფიზიოლოგთა
საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი**

ყარამან ფაღავა,
**პროფესორი,
თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტის
პედიატრიის დეპარტამენტის
ბავშვთა და მოზარდთა
მედიცინის
მიმართულების ხელმძღვანელი**

---

*საერთაშორისო კონფერენციაზე*

# „ჯანმრთელობა და ეკოლოგია"



ამას წინათ ქალაქ ახალციხეში, რაბათში, ჩატარდა V საერთაშორისო კონფერენცია – **„ჯანმრთელობა და ეკოლოგია"** – ორგანიზებული **თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტისა და სამედიცინო ეკოლოგიის ასოციაციის** მიერ; კონფერენცია მიზნად ისახავდა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ეკოლოგიური ფაქტორების ზემოქმედების შესახებ ცოდნის, გამოცდილების და თანამედროვე მედიცინის უახლესი მიღწევების გაცნობას და მათ პოპულარიზაციას.

ამ სერიით ჩატარებული კონფერენციები (**სიღნაღში, ბათუმში, წყალტუბოში)** თემატურად ეხებოდა ქვეყნის განვითარების ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა: ეკოტურიზმის ხელშეწყობის სამედიცინო ასპექტები, გლობალური დათბობით განპირობებული კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული დაავადებების პრევენცია, ეკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკის საკითხები და სხვ.

წლევანდელი კონფერენცია დაფინანსდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ (გრანტი ჩF/21/8-332/13) და მიეძღვნა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ჯანმრთელობის პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია რეგიონის ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ თავისებურებებთან, მათ შორის, ეკომიგრანტების სამედიცინო მომსახურების თანამედროვე ასპექტებს, ეკოლოგიური ფაქტორებით გამოწვეული დაავადებების პროგნოზირებას, მკურნალობას, რეაბილიტაციას და პროფილაქტიკას.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ქვეყნის წამყვანმა მეცნიერებმა და უცხოეთიდან მოწვეულმა სტუმრებმა, რომელთა შორის იყვნენ: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი, პროფესორი **ამირან გამყრელიძე,** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წამალთა ტექნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე,** ონკოპრევენციის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი **რემა ღვამიჩავა,** პროფესორები **მიხეილ შავდია, იოსებ აბესაძე, თინათინ ბერუჩაშვილი,** პროფილაქტიკური მედიცინის აკადემიის აკადემიკოსები: **ავთანდილ კოქლამაზაშვილი, რევაზ კვერენჩხილაძე,** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **ბიძინა ზურაშვილი,** სასწავლო პროგრამის მართვისა და შეფასების განყოფილების უფროსი **ნატალია პავლიაშვილი**, ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **დალი ბერაშვილი,** პროფესორები **თამაზ ჭუმბურიძე, ია წურწუმია,** ილიას უნივერსიტეტის პროფესორი **დურმიშხან ჩიტიშვილი,** ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის





დირექტორი, პროფესორი **რუსუდან ჯავახაძე,** პროფილაქტიკური ტოქსიკოლოგიის ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი **ინგა ლვინერია,** ი. ბერიტაშვილის ბიომედიცინის ცენტრის დირექტორი, პროფესორი **დავით ნადარეიშვილი,** პროფესორი **მარინა ნიკოლაიშვილი,** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პრევენციული მედიცინისა და გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტის პროფესორები **დავით ზარნაძე, ბელა ყურაშვილი, ლალი ბაქრაძე,** ჯანდაცვის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების დეპარტამენტის პროფესორი **ირინე ზარნაძე,** ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი **ნელი ანთელავა,** სამედიცინო ქიმიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი **ბადრი არზიანი;** თსსუ-ის პრევენციული მედიცინისა და გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტის ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის მიმართულების პროფესორი **ნინო კილაძე**; აშშ ჯანდაცვის ადმინისტრირებისა და ადამიანური რესურსების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სკრენტონის უნივერსიტეტის პროფესორი, თსსუ-ის საპატიო პროფესორი **დენიელ ვესტი,** მსოფლიო ბანკის პროექტ-216, PGN-ის ხელმძღვანელი **მაჰნაზ ჰარისონი,** საფრანგეთის ლილის უნივერსიტეტის პროფესორი **სებასტიენ ჟოკაი,** ასევე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები, ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე **თეა ბაქრაძე,** სტაჟირებისა და სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი **გიგა სორდია,** ქ. ახალციხის სამედიცინო საზოგადოების წარმომადგენლები – ქალბატონები **ეთერ ხმალაძე, ფატი ხაბულიანი, ზინა შეშაბერიძე, ლალი კირთაძე.**

სპეციალური მოწვევით, კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა თბილისის საკრებულოს „ქართული ოცნების" ფრაქცია „თბილისელების" თავმჯდომარე, ქალბატონი **გულიკო ზუმბაძე** და ქ. ახალციხის გამგებლის მოადგილე **თამარ გოგოლაძე.**

კონფერენციის მონაწილეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ქვეყნის დღევანდელი გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და ეკოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, საჭიროა უმოკლეს ვადებში ჩამოყალიბდეს **საქართველოს სანიტარული უსაფრთხოებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობის ეროვნული ცენტრი,** რომელიც დაექვემდებარება საქართველოს მთავრობას, კერძოდ, პრემიერ-მინისტრს და საქმიანობას წარმართავს ამ მიმართულებით მსოფლიოს, კერძოდ, ევროპის წამყვანი ქვეყნების გამოცდილებისა და სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

კონფერენციის მონაწილე სამედიცინო საზოგადოება აცხადებს სრულ მზადყოფნას აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მოსახლეობის და მისი საარსებო გარემოს ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით ამ აუცილებელი სამსახურის ჩამოყალიბებაში და დახმარება გაუწიოს შესაბამის სტრუქტურებს, როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული და საორგანიზაციო მიმართულებით.

მარინა გიორგობიანი, **V საერთაშორისო კონფერენცია – „ჯანმრთელობა და ეკოლოგია" – სპიკერი, სამედიცინო ეკოლოგიის ასოციაციის პრეზიდენტი, თსსუ-ის პროფესორი**

**საინფორმაციო მხარდაჭერა – თსსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოადგილის,** ჯიმი არჩვაძის.

# ევროპულ სივრცეში ინტეგრირებისთვის

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტურმა თვითმმართველობამ საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავება დასახა, რომლის მიზანიცაა მომავალი ექიმების ინტეგრაცია საერთო ევროპულ სტუდენტურ სივრცეში, ეს კი ხელს შეუწყობს სტუდენტთა, როგორც პროფესიულ, ასევე, პიროვნულ ზრდას. უნდა აღინიშნოს, რომ წლების განმავლობაში სამედიცინო უნივერსიტეტის ერთ-ერთი მჭიდრო პარტნიორია **ევროპის მედიკოს სტუდენტთა საზოგადოება,** რომლის რიგებში, აქტიური თანამშრომლობის საფუძველზე, ქართველმა სტუდენტებმა არაერთ წარმატებას მიაღწიეს. სწორედ ამ პარტნიორობის დამსახურებაა ის, რომ მიმდინარე წლის სექტემბერში, ქალაქ **ლისაბონში (პორტუგალია)** გაიმართულ **ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის გენერალური ასამბლეაზე (EMSA GA)** სათათბირო ხმის უფლებით მიწვეულნი იყვნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (EMSA - თბილისი) წარმომადგენლები: **კახა აბულაძე, გიგა სორდია, ანა ჩეკურიშვილი, სალომე ბეზარაშვილი, ანა დუმბაძე, თინათინ მეტრეველი, ნანა ჯონჯუა, ანა გამეზარდაშვილი.**

წლევანდელი, რიგით 23-ე გენერალური ასამბლეა, წარმატებული აღმოჩნდა **EMSA - თბილისის** – წარმომადგენლებისთვის, კერძოდ, **ანა ჩეკურიშვილი** მეორე ვადით აირჩიეს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელად. სამიტის ფარგლებში, EMSA-ს პრეზიდენტმა, **ბორისლავ მანევმა,** თავის მოხსენებაში უმაღლესი შეფასება მიანიჭა ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის ნაციონალურ კოორდინატორთა სამიტს, რომელსაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა უმასპინძლა. EMSA-ს ახალმა პრეზიდენტმა, **ოლგა როსტროვსკამ და ვიცე-პრეზიდენტმა, ლარა ტეუქსმა,** გამოთქვეს სურვილი კიდევ ერთხელ ესტუმრონ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ბილატერალური გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. აღსანიშნავია, ქართველი სტუდენტების წარმატებები აღნიშნული ორგანიზაციის საერთაშორისო საქმიანობაში, კერძოდ:




**2013 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა უმასპინძლა ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის ნაციონალურ კოორდინატორთა სამიტს;**

**2012 წელს თსსუ-ის კურსდამთავრებული ანა ჩეკურიშვილი არჩეულ იქნა ევროინტეგრაციის დეპარტამენტის თავჯდომარედ;**

**2011 წელს თსსუ-ის სტუდენტი გიგა სორდია არჩეულ იქნა ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელად;**

**2007 წელს თსსუ-ის სტუდენტი მერი როგავა არჩეულ იქნა ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტად;**

**2011 წელს EMSA - თბილისმა წარმატებულად განახორციელა ბათუმის საერთაშორისო სამედიცინო სამიტი (BIMS),**

**2000 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა უმასპინძლა „ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის" გენერალურ ასამბლეას.**

უახლოეს პერიოდში შემუშავდება გაცვლითი პროგრამების გეგმა, რომლის ფარგლებში სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები გაივლიან სტაჟირებას ევროპის წამყვანი ქვეყნების კლინიკებში და ამ საქმეში დაგვეხმარება EMSA–ს ბორდის ახლადარჩეული წევრი, ანა ჩეკურიშვილი.

**კახა აბულაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი**

*სტუდენტური სამეცნიერო*

# აქტივობები, პროექტები, მიღწევები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის I სასწავლო კორპუსის „ცისფერ დარბაზში" ჩატარდა თსსუ-ის ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების **გენერალური ასამბლეა,** სადაც შეჯამდა გასული წლის აქტივობები, განხორციელებული პროექტები და მიღწევები. სამეცნიერო საზოგადოების მოქმედმა პრეზიდენტმა, **გიორგი ფოჩხუამ,** მიმართა დამსწრე საზოგადოებას; მადლობა გადაუხადა სამეცნიერო საზოგადოების წევრებს თანადგომისთვის.

ღონისძიებაზე განიხილეს საზოგადოების რეორგანიზებული სტრუქტურა, რომელიც მოიცავს მიმართულებებისა და სექტორებისა, სამეცნიერო საზოგადოებისადმი მხარდაჭერისა და თანადგომისათვის, რომელიც არაერთხელ გამოხატეს გაწული წლების განმავლობაში და გვერდით ედგნენ თსსუ-ის ივ. თარხნიშვილის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებას.

ივ. თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების 2013 წლის 25 სექტემბრის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით, საპატიო წევრებად არჩეულ იქნენ:

პროფესორი **დავით ჭავჭანიძე** – თსსუ-ის ვიცე-რექტორი;

პროფესორი **ზურაბ კაკაბაძე** – თსსუ-ის კლინიკური ანატომიის მიმართულების ხელმძღვანელი;

პროფესორი **ირინე კვაჭაძე** –







თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, (ფიზიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,)

პროფესორი **თამარ სანიკიძე** – თსსუ-ის სამედიცინო ფიზიკასა და ბიოფიზიკის დეპარტამენის ხელმძღვანელი;

პროფესორი **ლუიზა გაბუნია** – თსსუ-ის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის ხელმძღვანელი;

პროფესორი **ნათია გუჯაბიძე** – თსსუ-ის ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი;

პროფესორი **დავით ცხომელიძე** – თსსუ-ის სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი;

ასევე, გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით, არჩეულ იქნა ივ. თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრები, რომელთაც გადაეცათ მადლობის წერილები, საპატიო წევრის სიგელთან ერთად, ნიშნად მადლიერების შექმნას სასწავლო დისციპლინების მიხედვით; დაისახა სამოქმედო გეგმები, პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები. დაიგეგმა როგორც შემეცნებითი, თეორიული სემინარ-ტრეინინგები, ასევე კლინიკური ცოდნისა და გამოცდილების ასამაღლებლად პრაქტიკული სამუშაოები.







გენერალურ ასამბლეაზე აირჩიეს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ახალი პრეზიდენტი და მმართველი საბჭოს წევრები შემდეგი შემადგენლობით:

პრეზიდენტი – **მიხეილ ჯანჯღავა;**

ვიცე-პრეზიდენტი – **თორნიკე კალაძე;**

გენერალური მდივანი – **ნინო ჭილლაძე;**

კადრების უზრუნველყოფა – **საიდ აჯიანცი;**

საბაზისო მედიცინის მიმართულება I – **მარიამ ოხანაშვილი;**

საბაზისო მედიცინის მიმართულება II – **მარიანა არაბული;**

კლინიკური მედიცინის მიმართულება ქირურგია I – **ხატია ცინცქილაძე**;

კლინიკური მედიცინის მიმართულება თერაპია I – **არჩილ შერვაშიძე;**

სტომატოლოგიის მიმართულება – **ქეთევან ინჯგია;**

ფარმაციის მიმართულება – **მარიტა აბულაძე;**

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულება – **შოთა გალდავა.**

**თორნიკე კალაძე, მედიცინის ფაკულტეტის მე-6 კურსის სტუდენტი**

*სტუდენტები მოწყალისთვის*




# საერთო იდეის ირგვლივ

3 ოქტომბერს, პირველად საქართველოში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, 13 უმაღლესი სასწავლებელი ერთი საერთო საქველმოქმედო იდეის ირგვლივ გაერთიანდა და მოეწყო საქველმოქმედო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ: **თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, აკაკი წერეთელის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.**



საქველმოქმედო საღამოს ესწრებოდნენ: **ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტი პეტრე, ხონისა და სამტრედიის ეპარქიის მიტროპოლიტი საბა, მამა ზურაბ ცხოვრებაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერი, ბატონი ზურაბ ორჯონიკიძე, ფონდ "იავნანას" დამფუძნებელი პაატა ბურჭულაძე, ფონდ „იავნანას" აღმასრულებელი დირექტორი გურამ ახალაია, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, თსსუ-ის საუნივერსიტეტო კლინიკებისა და სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, ფონდ „იავნანას" ბაზაში არსებული ოჯახები და სტუდენტები.**

პროექტის პარტნიორები და სპონსორები იყვნენ:

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;**

**თბილისის სამედიცინო აკადემია;** სამედიცინო აკადემიის რექტორმა, ბატონმა **კახა ქუნთელიამ** პატარა სალომეს საჩუქრად გადასცა კომპიუტერი;

**საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი; სეუ-ს რექტორმა,** ბატონმა **გია კავთელიშვილმა,** ერთ-ერთ ბავშვს ოცნება აუხდინა და საჩუქრად ველოსიპედი გადასცა; ასევე, ხუთივე ოჯახს უფასო კონსულტაცია გაეწევათ სეუ-ს კლინიკაში;

**ფარმაცევტული კომპანია – PSP;** ფარმაცევტულმა კომპანიამ ერთ-ერთ ოჯახს 200-ლარიანი ვაუჩერი გადასცა;

**ტექნიკის სახლი – OK**; კომპანიამ ოჯახს საჩუქრად სარეცხი მანქანა გადასცა;

**ტელეკომპანია – STV;**

**კომპანია – RAY LIGHT;**

**ფოტოსტუდია – MANUSCRIPT;**







საქველმოქმედო საღამოს ფარგლებში, ფონდ „იავნანას" ბაზაში არსებულ სოციალურად დაუცველ ოჯახებს **თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის, ბატონი ზურაბ ორჯონიკიძის**, განცხადებით, გაეწევათ უფასო პედიატრიული და სტომატოლოგიური კონსულტაციები თსსუ-ის საუნივერსიტეტო კლინიკებში.

შემოსული თანხა სტუდენტებმა გადაურიცხეს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „იავნანას" ბაზაში არსებულ ხუთ ოჯახს.

პორტრეტი

# ნიკო გონგაძე: „პედაგოგის მიერ გაცემული ცოდნა მის სტუდენტებში მანიფესტირდება"

*საკამათო არ არის, რომ ჩვენს უნივერსიტეტში მოღვაწეობენ მაღალი კვალიფიკაციის, მართლაც გამორჩეული პროფესორ-მასწავლებლები, რომელთა ღვაწლიც განუზომელია ექიმთა თაობების აღზრდაში. ისინი ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს უკვე მრავალი წელია მოკრძალებით, უხმაუროდ ემსახურებიან. ერთი მათგანია თსსუ-ის სამედიცინო ფარმაკოლოგიისა და ფარმაკოთერაპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, ბ-ნი* ***ნიკოლოზ გონგაძე****, რომელსაც, როგორც საინტერესო რესპონდენტს, უკვე იცნობს ჩვენი გაზეთის მკითხველი. ამიტომ ამჯერად ჩვენი მიზანი მასთან იმდენად ინტერვიუს ჩაწერა არ ყოფილა, რამდენადაც კოლეგების, თანამშრომლების, სტუდენტების, თანამოაზრეების თვალით დანახული მისი პორტრეტის შეთავაზება მკითხველისთვის, მით უფრო რომ, როგორც შევიტყვეთ, სულ მალე მას საიუბილეო, 65 წელი უსრულდება; თუმცა ბატონი ნიკოს დაჟინებული თხოვნის გათვალისწინებით, რომ იუბილეები, მასთან დაკავშირებული „პომპეზურობა და დითირამბები" შორს არის მისი პიროვნებისგან, ვცადეთ ისევ ნაცადი ფორმისთვის მიგვემართა და რამდენიმე შეკითხვა დაგვესვა მისთვის იმ იმედით, რომ პორტრეტი, შესაძლოა – უფრო ძუნწი შტრიხებით, მაგრამ მაინც „დაიხატებოდა". და მიუხედავად იმისა, რომ ბევრ საკითხს ვერ შევეხეთ (რაც ერთ საგაზეთო ინტერვიუში შეუძლებელიცაა), როგორც მოსალოდნელი იყო, საინტერესო პასუხები მოვისმინეთ, რაც მკაფიოდ წარმოაჩენს მას, როგორც პროფესიონალს, პედაგოგს, ინტელექტუალს, ღირსეულ პიროვნებას...*

**– ბატონო ნიკო, მოდით თქვენი პროფესიული არჩევანით დავიწყოთ. რამ განაპირობა ექიმობის სურვილი და შემდეგ – ფარმაკოლოგიისადმი ინტერესი?**

– ჩემი პროფესიული არჩევანი განსაზღვრა ინტერესმა ისეთი საგნებისადმი, როგორიცაა ბიოლოგია, ქიმია და ფიზიკა, ვინაიდან ეს საგნები გამაერთიანებელ რგოლად გვევლინება ჩვენს ორგანიზმში მიმდინარე პროცესთა შორის. რაც შეეხება ექიმის პროფესიას, იგი განაპირობა მისმა ჰუმანურობამ და დაავადებული ადამიანის დახმარების სურვილმა, ვინაიდან ჯანმრთელობის გარეშე რთულია რაიმე მიზნის მიღწევა და ნებისმიერი ჩანაფიქრის პრაქტიკული რეალიზება. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფარმაკოლოგია მედიცინის სწორედ ის დარგია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ორგანიზმზე წამლის მოქმედების ფუნდამენტური მექანიზმების შესწავლა მასში მიმდინარე ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური პროცესების მოდულაციის გათვალისწინებით. ამავე დროს, ფარმაკოლოგია აერთიანებს სტუდენტთა მიერ მიღებულ ცოდნას სხვა თეორიულ დისციპლინებში და ბუფერულ რგოლად გვევლინება თეორიულ და პრაქტიკულ მედიცინას შორის. მას, ასევე, მჭიდრო კავშირი აქვს ფარმაციასთან.

**– ალბათ არსებობენ ადამიანები, ვინც განსაკუთრებული გავლენა მოახდინეს თქვენი პიროვნების ჩამოყალიბებაზე პროფესიული თუ მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით...**

– ბუნებრივია, ჩემზე არაერთმა პიროვნებამ მოახდინა გავლენა, როგორც სკოლაში, ასევე უმაღლეს სასწავლებელში და, საერთოდ, ცხოვრებაში. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. უპირველესად, რასაკვირველია, მშობლებს დავასახელებდი. რაც შეეხება პროფესიულ ასპექტს, მინდა დიდი პატივისცემით გავიხსენო ჩემი პედაგოგები: პროფესორი **გრიგოლ გვიშიანი,** რომლის წვლილიც ფარმაკოლოგიაში უზომოდ დიდია, როგორც შესანიშნავი მეცნიერის და ბრწყინვალე ლექტორის. მან ფარმაკოლოგთა და ექიმთა მთელი პლეადა აღზარდა და საფუძველი ჩაუყარა ახალ ფარმაკოლოგიურ მიმართულებებს; პროფესორი **დავით კვაჭაძე**, ასევე შესანიშნავი მეცნიერი, პედაგოგი და ექსპერიმენტატორი, საოცრად განათლებული ადამიანი, რომელიც, ამასთან ერთად, იუმორის შესანიშნავი გრძნობით და კომუნიკაბელობის არაჩვეულებრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული. ორივე მათგანი, სამწუხაროდ, ძალიან ადრე დაგვაკლდა, რაც, ვიტყოდი, რომ აუნაზღაურებელი დანაკლისია ფარმაკოლოგიისთვის. დიდი მადლიერების გრძნობით ვარ გამსჭვალული ჩემი პედაგოგის, პროფესორი **გივი თურმანაულისადმი**, რომელიც ამჟამადაც წარმატებით მოღვაწეობს ფარმაკოლოგიის დეპარტამენტში და აგრძელებს ახალგაზრდა თაობის აღზრდის ტრადიციას. ბატონი გივი შესანიშნავი მეცნიერი და სტუდენტთა საყვარელი პედაგოგია – გამორჩეული მაღალი შინაგანი კულტურით, სიმშვიდით და თანამშრომლებისადმი პატივისცემით. მის სახელმძღვანელოებზე ექიმთა მრავალი თაობა აღიზარდა. შეუძლებელია არ მოვიხსენიო ჩემი დისერტაციის ხელმძღვანელი სანკტ-პეტერბურგიდან, პროფესორი **ვიტალი ცირლინი**, აკადემიკოსი **არტურ ვალდმანი.** დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და საბოლოოდ განაპირობა მეცნიერული მიმართულების არჩევა გერმანელი პროფესორის, **ჰერცის,** ლექციათა ბრწყინვალე ციკლმა.

**– არაერთი სტუდენტისგან მოგვისმენია შეფასება თქვენი, როგორც საუკეთესო პედაგოგის და პიროვნების შესახებ. როგორ ფიქრობთ, რატომ? ან სხვაგვარად რომ გკითხოთ: მაინც რა არის პედაგოგის შეფასების მთავარი კრიტერიუმი და, ზოგადად, პედაგოგობის ხიბლი?**

– ვფიქრობ, პედაგოგის შეფასების კრიტერიუმები კომპლექსურია. სტუდენტებთან ურთიერთობისას იგი უნდა იყოს გულახდილი, მომთმენი, ხელი შეუწყოს სტუდენტის ცოდნის მაქსიმალურ გამოვლენას და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე შთაუნერგოს მას საგნის სიყვარული და მისი შესწავლის საჭიროება, რაც გამოადგება პრაქტიკულ მედიცინაში. პედაგოგმა უნდა დაუსახოს სტუდენტს ის გზები, თუ როგორ აითვისოს საგნის ფუნდამენტი და ცალკეული ელემენტები, რათა მისთვის დისციპლინის შესწავლა გახდეს საინტერესო და სასიამოვნო; ასევე, უნდა შეაჩვიოს სტუდენტი მოდულის პრინციპით ლოგიკურ აზროვნებას და მოვლენათა შორის გამაერთიანებელი ჯაჭვის პოვნას. სტუდენტში, რაც უნდა სუბიექტური იყოს იგი, მაინც ობიექტურობის განცდა სჭარბობს და, სხვებისგან განსხვავებით, დაუფარავად ახდენს სიმართლის მანიფესტირებას (გარკვეული გამონაკლისის გარდა).

**– ისევე ამაყობთ თუ არა თქვენი სტუდენტებით, როგორც პედაგოგებით და ამჟამინდელ სტუდენტებზე რას გვეტყოდით? რით გამოირჩევიან თუ განსხვავდებიან ისინი უცხოელი თანატოლებისგან?**

– ბუნებრივია, ვამაყობ ჩემი სტუდენტებით, ვინაიდან **მათ შორის არიან ძალიან ნიჭიერი და მოაზროვნე ახალგაზრდები, რომლებიც, ეჭვგარეშეა, რომ მომავალში დაამშვენებენ ქართულ მედიცინას.** გასაკვირი არაა, რომ ისინი ბევრად თანამედროვენი არიან (მაინც თავისუფალ ქვეყანაში დაიბადნენ), ჩვენზე უფრო დემოკრატები და თავისუფალნი იმ შინაგანი წნეხისა და ტაბუირებული ცნობიერებისგან, რაც ჩვენს თაობას რუდიმენტის სახით გადმოჰყვა ტოტალიტარული რეჟიმისგან. მათ გარეშე ცხოვრება, პირადად ჩემთვის, ძალიან მოსაწყენი იქნებოდა. ვამაყობ, ასევე, ჩვენი ყოფილი სტუდენტებით, რომლებიც ამჟამად მედიცინის სხვადასხვა დარგში მოღვაწეობენ აშშ-სა და ევროპაში. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სტუდენტები უცხოელ სტუდენტებს არათუ ჩამოუვარდებიან ნიჭით და ათვისების უნარით, ხშირ შემთხვევაში, სჯობნიან კიდეც. თუმცა, უცხოელი სტუდენტებისგან განსხვავებით, მათ აკლიათ სისტემური მეცადინეობისადმი მიდრეკილება და ხშირად სწავლის პროცესში მიმართავენ fast food-ის (სწრაფი კვების) მეთოდს, რაც აზარალებს ფუნდამენტური ცოდნის მიღების პრინციპს.

**– კონკრეტულად ფარმაკოლოგიაზე რომ ვისაუბროთ: რა პრობლემებს ხედავთ დღეს დარგში და როგორ წარმოგიდგენიათ მისი გადაწყვეტა?**

– თანამედროვე ფარმაკოლოგია მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვადასხვა დარგთან. ბოლო წლებში განვითარდა და დაინერგა პრაქტიკაში მკურნალობა რეკომბინანტული ტექნოლოგიებით მიღებული წამლებით, მონოკლონური ანტისხეულებით, გენური თერაპიით, ბიომიმსგავსებადი საშუალებებით და ა. შ. მსგავსი კვლევები კოლოსალურ თანხებს უკავშირდება და მხოლოდ მეტად განვითარებული ქვეყნების პრეროგატივას წარმოადგენს. მაგალითად, ასეთი ტიპის წამლების კვლევა და დანერგვა სამედიცინო პრაქტიკაში მოითხოვს ფინანსურ დანახარჯებს, რაც ხშირ შემთხვევაში 500 000 000 – 1 მილიარდ დოლარს უტოლდება. შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერებამ, კარგი გაგებით, „კომერციალიზაცია" განიცადა, ვინაიდან ნატიფი კვლევები მოითხოვს ძალიან ძვირად ღირებულ რეაქტივებს, ტესტ-სისტემებს და აღჭურვილობას. ამ მხრივ საქართველო, სამწუხაროდ, ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს და ჩვენს ქვეყანაში ფუნდამენტური კვლევისადმი ყურადღება მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს ატარებს. სწორედ ფუნდამენტური კვლევა სხვადასხვა დარგში მეცნიერების განვითარების მთავარი წინაპირობაა. ამიტომაცაა, რომ არა მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებში, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცეშიც, საქართველოსგან განსხვავებით, გაიზარდა ფუნდამენტური კვლევის ასიგნირება. ამასთან ერთად, სულ უფრო ნაკლები ახალგაზრდა მიისწრაფვის მედიცინის თეორიული დარგებისკენ. ეს, გარკვეულწილად, სოციალურ ფაქტორებთანაცაა დაკავშირებული, ისევე, როგორც უპერსპექტივობის განცდასთან. **თუ ამ კუთხით მდგომარეობა არ გამოსწორდა, 10-15 წელიწადში საქართველოში მაღალი კვალიფიკაციის ექიმთა ხვედრითი წილი საგრძნობლად შემცირდება. ამიტომ ფუნდამენტური კვლევები სახელმწიფოსგან მეტ ყურადღებას და სტიმულირებას მოითხოვს**, ვინაიდან, მოგეხსენებათ, რომ პრაქტიკული მოღვაწეობის ფუნდამენტს თეორიული მედიცინა წარმოადგენს.



**– თქვენი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს უკავშირდება. თქვენი აზრით, წლების განმავლობაში რა შეიცვალა უნივერსიტეტში, ისურვებდით თუ არა რაიმეს შეცვლას და როგორ ხედავთ მის განსაკუთრებულ როლს სამედიცინო მეცნიერების განვითარების და მომავალი ექიმების ჩამოყალიბების თვალსაზრისით?**

– რა თქმა უნდა, სამედიცინო უნივერსიტეტი განათლების ძირითად კერას წარმოადგენს, სადაც თავმოყრილია საქართველოში მოღვაწე სამედიცინო და ფარმაციის დარგების საუკეთესო წარმომადგენლები. უნივერსიტეტში, სამწუხაროდ, აღარ მოღვაწეობენ ძველი თაობის კორიფეები, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს მედიცინის განვითარებაში ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც. საბჭოთა კავშირის დემონტაჟის შედეგად, შედარებით თავისუფალი საზღვრის პირობებში, შესაძლებელი გახდა უცხოელ კოლეგებთან მეტი კონტაქტი, აზრთა გაცვლა და თანამშრომლობა, ისევე როგორც კონფერენციებსა და კონგრესებში ერთობლივი მონაწილეობა, რაც, უდავოდ, სასიკეთო ცვლილებებია უნივერსიტეტის მასშტაბით. გარდა ამისა, სტუდენტებს ეძლევათ საშუალება გაიარონ პრაქტიკა, ხოლო დიპლომისშემდგომ პერიოდში – სტაჟირება სხვადასხვა ცნობილ ცენტრში. **ვისურვებდი, რომ განსაკუთრებით ნიჭიერი და გამორჩეული სტუდენტებისადმი ყურადღება არ შემოიფარგლოს სახელმწიფოს მიერ მათთვის მხოლოდ სტიპენდიის დანიშვნით. ვფიქრობ, საჭიროა ინფორმაციული ბანკის შექმნა, რომლის მესვეურებიც იზრუნებენ პერსპექტივაში სპონსორების, სპეციალური პროგრამების მოძიების, სტუდენტების ღირსეული დასაქმებისთვის მათ მიერ შერჩეულ სფეროში. ახალგაზრდა ნიჭიერი პლეადა ჩვენი ინტელექტუალური კაპიტალია, რომელსაც გაფრთხილება სჭირდება.** ასე განვითარდა ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც მსოფლიო მასშტაბით მოიძიებდნენ (მათ შორის – ევროპიდან) ნიჭიერ კადრებს და უქმნიდნენ ოპტიმალურ სამუშაო პირობებს. მაგალითად, ამერიკაში მოღვაწე ნობელის პრემიის ლაურეატთა 80%-მდე წარმოშობით სხვადასხვა ქვეყნიდანაა. ექიმის აღზრდა მეტად რთული პროცესია, ვინაიდან კარგი ექიმი სათანადო პროფესიულ ცოდნასთან ერთად უნდა იყოს ღრმად განათლებული პიროვნება, ფლობდეს პაციენტთან ურთიერთობის ეთიკურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს; არ უნდა ჰქონდეს მოვლენებისადმი მხოლოდ უტილიტარული მიდგომა და კარგად აღიქვამდეს არა მხოლოდ პაციენტის ობიექტურ მდგომარეობას, არამედ ჩასწვდეს მის სუბიექტურ განცდებსაც.

**– თქვენი განვლილი გზის, მადლიერი სტუდენტების, კოლეგების, საქმიანობის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ბედნიერი ადამიანი ბრძანდებით. და მაინც, ახლანდელი გადასახედიდან – შეცვლიდით თუ არა რამეს და მომავლის გეგმებზე რას გვეტყოდით?**

– დღევანდელი გადასახედიდან რომ შევაფასო, ჩემ მიერ განვლილი გზა, შეიძლება ითქვას, დალხენილი ნამდვილად არ ყოფილა, თუმცა მაინც იმავე გზას ავირჩევდი, მით უფრო, რომ ადამიანი დაზღვეული არ არის შეცდომებისგან და არც გარანტირებული, თუ რა წარმატებას მიაღწევს სხვა სფეროში. ბევრი რამის შეცვლა შეიძლებოდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ. ადამიანი კმაყოფილი უნდა იყოს, თუ იგი გრძნობს საჭიროებას ახლობლების, საზოგადოების, ახალგაზრდა თაობისთვის. რაც შეეხება მომავლის გეგმებს, არ მიყვარს პომპეზურობა და წინასწარი განცხადებები, მხოლოდ ვისურვებდი, რომ ახლო მომავალში ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა სრულად დააკმაყოფილონ საერთაშორისო დონის მოთხოვნები და თუ ამაში ჩემი მცირედი წვლილიც იქნება, კმაყოფილი ვიქნები, ვინაიდან პედაგოგის მიერ გაცემული ცოდნა მის სტუდენტებში მანიფესტირდება...

**– დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის...**

ესაუბრა
**ნატო ბოლქვაძე**

სტუდენტური ცხოვრებიდან

# იყავით მიზანმიმართულნი და დამოუკიდებელნი!



სტუდენტური წლები უმნიშვნელოვანესი პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში. რეალურად შეიმეცნებ თუ როგორ ხდები დამოუკიდებელი და ეჩვევი მყარად ფეხზე დგომას; ირგვლივ სხვა სამყარო იშლება, ათასგვარი სირთულით და სიხარულით აღსავსე...

ექიმობა ნიჭია, ადამიანს ღვთისგან რომ ეძლევა;...გზა ექიმობამდე ხანგრძლივიცაა, ამასთან, საინტერესო და დიდი ბედნიერებაა, როცა ამ რთულ გზაზე გვერდით გიდგანან საუკეთესო მენტორები – სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ყოველთვის მზად მყოფნი კეთილი რჩევისა და დახმარებისთვის....

სტუდენტური წლები დამოუკიდებელ პიროვნებებად და სპეციალისტებად ჩამოყალიბებისთვის მზადების პერიოდია, სადაც ჯანსაღი კონკურენცია უცილობელი ატრიბუტია, მუდმივად „ფორმაში ყოფნას" რომ გაიძულებს – საუკეთესოთა შორის ადგილის მოპოვება ადვილი არაა, მაგრამ, მერწმუნეთ, თავდაუზოგავი შრომით საწადელს მიაღწევთ; სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ამაში ნამდვილად დაგეხმარებათ, აქ არჩევანი ხომ მეტად ფართოა, შეგიძლიათ თემატიკა შეარჩიოთ ნებისმიერი საგნიდან და თქვენი შესაძლებლობის მაქსიმალური რეალიზება მოახდინოთ.

სტუდენტური წლები განუმეორებელია. ეცადეთ გონივრულად გამოიყენოთ ეს პერიოდი. ასე, რომ საუკეთესო მომავლის უზრუნველყოფა ისევ თქვენზეა, ჩემო მომავალო ახალგაზრდა კოლეგებო! – იყავით რაციონალურნი, დღევანდელობის შესაფერისნი, მომავალზე ორიენტირებულნი!

**ელენე როსტიაშვილი,**
**თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი**

# წარმატებული ტურნე ბათუმში



თსსუ-ის სპორტის და ხელოვნების ცენტრში ფუნქციობს კლასიკური მუსიკის განყოფილება, რომელიც მუსიკით დაინტერესებულ სტუდენტებს აერთიანებს. პირველი კონცერტის შემდეგ, რომელიც უნივერსიტეტის წითელ დარბაზში გაიმართა და ჩვენი გაზეთის საშუალებითაც გაშუქდა, მათ არაერთი წარმატებული გამოსვლით დაამახსოვრეს თავი პუბლიკას. ახლახან უნივერსიტეტის სტუდენტები ბათუმელი მსმენელის წინაშე წარდგნენ და იქაც მოწონება და ოვაციები დაიმსახურეს. წარმატებული ტურნეს შესახებ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს თსსუ-ის სპორტის და ხელოვნების ცენტრთან არსებული კლასიკური მუსიკის განყოფილების ხელმძღვანელი, ბ-ნი **გოდერძი ჩიტაიშვილი:**

ალბათ დიდხანს დაამახსოვრდებათ ბათუმში გატარებული ორი დღე სპორტის და ხელოვნების ცენტრის კლასიკური მუსიკის განყოფილების სტუდენტებს: **ანა არაბიძეს, შორენა კოჭლამაზაშვილს, მარიამ მეტრეველს, ნინო მჭედლიძეს, გურამ ნავროზაშვილს, ქეთი რამიშვილს, თამარ ჯაბაურს, მარიამ ჯაიანს** და **დავით ჯიმშელეიშვილს**, რომლებიც ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის (რექტორი – პროფესორი **ერმილე მესხია**) მიწვევით გაემგზავრნენ ბათუმში.





საათზე მეტხანს ჟღერდა მათი შესრულებით ულამაზეს თეთრ როიალ "იამაჰაზე" დიდი კლასიკოსების: **ბახის, შოპენის, შტრაუსის, ჩაიკოვსკის, ლაღიძის, აზარაშვილის** უკვდავი მელოდიები.

სპორტის და ხელოვნების ცენტრში თითქმის სამი წელია მოქმედებს კლასიკური მუსიკის განყოფილება. ის სტუდენტები, რომლებსაც განსაკუთრებულად უყვართ კლასიკური მუსიკა, სისტემატურად მონაწილეობენ სამედიცინო უნივერსიტეტში გამართულ ყველა კონცერტში. წლიდან წლამდე მათი რეპერტუარი რთულდება და უფრო მრავალფეროვანი ხდება.

ჩვენს კონცერტებში ფორტეპიანოსთან ერთად ხშირად ჟღერს ვიოლინო, ფლეიტა, ჩელო... გვყავს ვოკალისტები.

როცა ვუყურებ რა გატაცებით სწავლობენ და უკრავენ ამა თუ იმ ინსტრუმენტზე მომავალი ექიმები, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რამდენად საფუძვლიანია გავრცელებული აზრი ექიმების განსაკუთრებული მუსიკალურობის შესახებ.

მინდა ზემოჩამოთვლილ სტუდენტებს მივულოცო ამ გასვლით კონცერტში წარმატებით მონაწილეობა და ვუსურვო მთელი ცხოვრების მანძილზე არ განელებოდეთ სიყვარული და ინტერესი კლასიკური მუსიკისადმი, რაც მათ მხოლოდ და მხოლოდ დადებით ემოციას და დიდ სტიმულს მისცემს ყოველდღიურ საქმიანობაში.

პოეზია

# „იქნებ რაიმე ვთქვი..."



სასიხარულოა, რომ „სამედიცინო გაზეთში" ხშირად ეთმობა ადგილი შემოქმედი ახალგაზრდების წარმოჩენას, მათი შემოქმედების გაცნობას მკითხველისთვის და ეს ტრადიცია გრძელდება დღესაც;

საქართველოში მართლაც უხვადაა მხატვრული ნიჭი მიმობნეული და ჩვენს ახალგაზრდებსაც სჭირდებათ გამოცდილი ლიტერატორებისგან მხარდაჭერა, მითითებაც, სწავლებაც! მიხარია, რომ ჩემეული პერიფრაზი გალას სტრიქონისა – **„ჩვენც, ექიმები საქართველოსი"** – სიცოცხლეს აგრძელებს სამედიცინო სამყაროში და ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი გამოჩნდა მედიკოს-სტუდენტთა შორის! იმედი მაქვს, ისინი გააგრძელებენ ჩვენს (პოეტი ექიმების) არცთუ ურიგო ტრადიციას ამ მხრივ! ერთი ამ ყმაწვილთაგანია **გიორგი გაგუა** – წესიერებით, ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობით, ზრდილობით გამორჩეული ახალგაზრდა. დიდი ხანი არ არის, რაც მის მოკრძალებულ შემოქმედებას გავეცანი და იქიდან ისეთმა ხალასმა, თავანკარა, ნატიფმა, წრფელმა გრძნობებმა გამოანათა... ისეთი გულისძგერა გავიგონე... გულგრილი ვერ დავრჩი ამ, შესაძლოა, ბავშვური, მაგრამ არტისტული სტრიქონების მიმართ! ერთი კია, თუ ლიტერატურაში სერიოზულ მუშაობას დააპირებს გიორგი, საკმაოდ მძიმე ტვირთის ტარება მოუწევს, ვინაიდან ის ხომ ექიმი უნდა იყოს უპირველესად! თუმცა მწერლებში (შემოქმედ ადამიანებში, ზოგადად) არცთუ იშვიათად არიან „სხვა" პროფესიის ადამიანები და ეს ერთგვარი „პარადოქსია" თითქოს!

წარმატებები მინდა ვუსურვო ახლადფეხადგმულ ბიჭს პოეზიაში... მშვიდობით ევლოს და მუდამ ახსოვდეს, რომ ჩვენც მართლაცდა ყოველთვის იქ ვდგებით, „სადაც ქარიშხალია", „ჩვენც, ექიმები საქართველოსი!"

**დინარა კასრაძე,**
**მედიცინის პროფესორი, ერთი ამ პოეტთაგანი**

## მხოლოდ მას

სიყვარული სიკვდილამდე მეწვია და
ვერ გავბედე ჰორიზონტის გადაკვეთა;
შუაღამეს მეღვიძება დაბუჟებულს,
სული მეწვის, როგორც მძაფრი დიდი სევდა.
ვერაფრით ვერ დაგივიწყე, ჩემო კარგო,
რა ვქნა, არ მსურს მოლოდინთან შენი ცქერა;
სახეს – ატმის აფეთქებულს, გიშრით ნაფერს,
შუა ედგა მოლოდინის მკაცრი კედმა!
გელოდები ისე, როგორც მრევლი არტოსს,
როგორც გლახა – მოწყალების ნაგებ გროშებს;
სასწაულად მენატრები, ჩემო კარგო...
რა ვქნა, თუკი ვერ ვიმონებ გრძნობის მორევს...
ჩემში იყო ოქროსფერი შემოდგომა,
ვერსალისთვის მომლოდინე დიდი ვნება;
წამი არად მომეჩვენა, მაგრამ თითქოს
გასულიყო ნოემბერიც სევდით, ნელა;
დეკემბერში დაბადებულ ნათელ მერცხლებს
გეკუთვნოდათ სასახლე და ავანსცენა,
მაგრამ ბედმა, უკეთურმა, ასე ბრძანა ...
უსასრულო ქარბუქების ღმუილს მერწავს ...
არ მინდოდა, სახიერო, კრინტის დაძვრა,
თუმცა ჩემი ემოციაც დაიფერფლა...
გელოდები, ჩემო კარგო, ისევ მარად,
მეტად სათქმელს ვერ გადმოსცემს მწერლის ენა;
ნეტავ რამე წარმოჩინდა ჩემი თავით?!
ხედავ რამეს იშვიათს და ჩემში ვნებას...
ტრამალებზე მოვდიოდი ფიქრით გზაზე,
ფოლიანტებს ვუსწორებდი კალმით ენას,
მიყვარხარ და მენატრები, კვლავაც ვამბობ...
ტყუილისთვის არ ვარგივარ ახლა მეტად;
სალბუნობას ვინ იტვირთავს, არავის ვთხოვ,
მხოლოდ შენში დავინახო უნდა რწმენა!
სიყვარული სიკვდილამდე მწევია და
არ შემეძლო უშენობით მარტო რბენა!

## სიზმრად ნანახი არარეალობა...

ცხოვრება – გადატანითი მნიშვნელობით და
არაპირდაპირით...
ოცნებავ, ფრთაშესხმულო ანგელოზო,
ლიცენციის მკრთალი ფერებით შეფერილო,
დიადო სერაფიტავ, სევდის მომფენელო,
ვნების ჭეშმარიტი არსით უტკბესო,
ჩემო სერაფიტავ, ჩემო ნათლის სვეტო!
სახეს უფარავდა ნაზი ავანგარდი,
თმებში ეჩრდილება მუქი ოქროსფერი,
სუფთა ოქროსავით იყო ნაირფერი,
წმინდა ეფრემივით შერჩა ომოფორი,
განა პოეტური ჯიში ფანტაზიის,
სწვდება ყოველივეს, რაც კი მზისფერია,
არა, ყველაფერი ვეღარ იწერება;
წამით უნდა ნახო შენ ეს გეენია,
მეისვე დაგიჩრდილავს აზრებს არმურისფერს,
სულიც გაიცრება, როგორც სისპეტაკე,
ვნება აჩქეფდება, როგორც პრელუდია;
სიზმრის ფანტაზიას ისევ მართალს ვაწერ!

## იქნებ რაიმე ვთქვი...

მიყვარხარ იმიტომ, რომ ჩემში შემოხვედი
როგორც სახიერი,
სულში მოიტანე ლურჯი ოცნებების ხილვა
წამიერი...
და ეს ოცნებები ჩემში შეერია ციურ ფანტაზიას,
გულის აღმაფრენით თეთრმა სისპეტაკემ
ღამე გაათია.
ვნება-გახელება დიდმა სიყვარულმა თავზე
დამათია,
ურჩმა რაფსოდიამ გულის ცხრაკლიტული
ისევ დაარბია...
ჩქერი უეცარი, ცრემლთა მოდინების,
მზისა სადარია;
ცხრაჯერ გამოგნახე, ცხრაჯერ უტყვმა
ბედმა გული დაარბია;
მქონდა ოცნებებიც, სადღაც უსახური
შემრჩა აპათია.
სულის განკურნება ვინ სად გაიგონა... თურმე
სანატრია...
ვერის ბაღთან გნახე, მუხლი მოვიყარე...
ჩემი დამმართია...
სახე გაგიბრწყინდა, ლალისფერი ბაგე თითქოს
ბადაგია.
ვუცდი განგებას და დიდი იმედებით გული სავსე
არის,
იქნებ, დაინახო ჩემი მცდელობები,
ჩემი სატკივარი...

* * *

ლექსში ჩაწვეთებულ გრძნობებს,
ფიქრში გაავებულ აზრებს,
ჩემი შინაგანი სახე
იქნებ დაინახო სხვა ფერ.
ჩემი არსებობა ზუსტად,
შენით ისაზღვრება, კარგო,
ვნებას სიყვარული ჰქვია,
ჩემო, სიდიადის მსგავსო!
სულში ჩამისახლდა დიდი,
დიდი მოელვარე მთვარე;
შენი სახიერი სახე
ლურჯ ფერს მივამსგავსე ცაზე,
სიზმრად დაგინახე, მშვიდო,
ვნების აღმაფრენის მსგავსო,
ჩემო პირვანდელო პირმშო,
ჩემი ოცნებების ნიჭო!

დ ა მ შ ვ ი დ ო ბ ე ბ ა

# ე თ ე რ ბ ო ც ვ ა ძ ე

საქართველოს სამედიცინო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება და ექიმი, ქვეყნის ერთგული მოქალაქე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ნამდვილი წევრი, საერთაშორისოდ აღიარებული მკვლევარი, დიდი კლინიცისტი და ღვაწლმოსილი პედაგოგი ეთერ ბოცვაძე.

ეთერ ბოცვაძე საქართველოში ინფექციური პათოლოგიის დარგის აღიარებული ლიდერი და ქართული სამედიცინო საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა იყო.

მან, ილია ჭავჭავაძის და ნიკო ნიკოლაძის თანამოღვაწეთა და პედაგოგთა წრეში აღზრდილმა, წიგნიერი ოჯახის შთამომავალმა, ღირსეულად გააგრძელა წინაპართაგან მონიშნულ გზაზე სიარული.

თბილისის რკინიგზის N4 სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. იყო სახელობის სტიპენდიატი, სტუდენტთა სამეცნიერო წრის მდივანი და სტუდენტური გაზეთის რედაქტორი.

ასპარეზად სამედიცინო დარგთაგან ერთ-ერთი ურთულესი – ინფექციური დაავადებები – აირჩია. თავის მასწავლებელთან, უბადლო კლინიცისტთან და საზოგადო მოღვაწესთან, პროფესორ გიორგი კვიტაშვილთან ერთად, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, დაიწყო კლინიკური და სამეცნიერო ინფექტოლოგიის საფუძვლების შექმნა საქართველოში. ინფექციურ დაავადებათა კათედრაზე წარმატებით განვლო გზა ასპირანტიდან კათედრის გამგემდე. ამ დიდ და რთულ გზაზე თავიდანვე გამოვლინდა მისი მაღალი ინტელექტი, კლინიკური, სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის შეთავსების გასაოცარი უნარი.



ფრიად მნიშვნელოვანია ე. ბოცვაძის ღვაწლი სამედიცინო მეცნიერების განვითარებაში. ინფექციური პათოლოგიის არცერთი აქტუალური საკითხი არ დარჩენილა მისი ყურადღების გარეშე. იგი 300-მდე სამეცნიერო შრომის ავტორია, რომელთა შორის 6 მონოგრაფიაა.

სხვადასხვა დროს ეთერ ბოცვაძე იყო სახალხო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს ინფექციონისტთა, ჰეპატოლოგთა, პარაზიტოლოგთა, ეპიდემიოლოგთა და მიკრობიოლოგთა სამეცნიერო ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ინფექციონისტი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, საბჭოთა კავშირის და საქართველოს 21 რეგიონული და საერთაშორისო პროგრამის მონაწილე და ხელმძღვანელი. დასახელებულია მსოფლიოს გამოჩენილ ჰეპატოლოგთა შორის (2006 წ.). მისი გვარი შეტანილია მსოფლიო ბიოგრაფიულ ცნობარებში - მე-20 საუკუნის გამოჩენილ მოღვაწეთა შორის. დაჯილდოებულია მრავალი მედლით, სიგელით, პრემიით და ღირსების ორდენით.

პროფესორი ეთერ ბოცვაძე აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის სამეცნიერო კადრების მომზადებაში. მისი ხელმძღვანელობით და კონსულტაციით შესრულებულია არაერთი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.

ქალბატონი ეთერი დიდი მამულიშვილი, სიკეთის, ნიჭიერების, განათლების, გულწრფელობის, კეთილშობილების,სიწმინდის, ზნეობის,უანგარო მეგობრობის განსახიერება გახლდათ. . პროფესორი ეთერ ბოცვაძე გამოირჩეოდა საქმისადმი უდიდესი ერთგულებითა და სიყვარულით, შესაშური ერუდიციით და საკითხის ღრმა ცოდნით.

თავისი მოღვაწეობითა და ცხოვრების სტილით აკადემიკოსმა ეთერ ბოცვაძემ დაიმკვიდრა სახელი შემოქმედი პროფესიონალი მკვლევრისა, შესანიშნავი ლექტორისა და აღმზრდელისა, ეტალონურად უმწიკვლო და უაღრესად პატიოსანი მოქალაქისა. სწორედ ეს გახდა საწინდარი იმ გულწრფელი და ღრმა პატივისცემისა, რასაც ყოველთვის გამოხატავდნენ მის მიმართ ქართველი და უცხოელი მეცნიერი კოლეგები.

ნაყოფიერი საექიმო, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობით პროფესორმა ეთერ ბოცვაძემ ერის მეხსიერებაში ნათელი და წარუშლელი კვალი დატოვა.

ძალზე მტკივნეულია იმ აზრთან შეგუება, რომ გამოვეთხოვეთ ადამიანს, რომელიც ათწლეულების მანძილზე ბოლომდე იხარჯებოდა ადამიანის ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

წავიდა ჩვენგან ქართული მედიცინის ერთ-ერთი კორიფე, წავიდა ვალმოხდილი საზოგადოებისა და ოჯახის წინაშე. მის ხსოვნას პატივს მიაგებენ დამწუხრებული სამედიცინო საზოგადოება და მრავალრიცხოვანი მოწაფეები.

ქალბატონო ეთერ, მიწიერ ცხოვრებაში პირნათლად შეასრულეთ თქვენი მისია ღმრთისა და სამშობლოს წინაშე. ჩვენ გვწამს, რომ ქართველი ერი არ დაივიწყებს თქვენს უკვდავ სახელს.

დაე, მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობლიური მიწა

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი,**

**ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი,**

**საქართველოს ინფექციონისტთა, ჰეპატოლოგთა, პარაზიტოლოგთა, ეპიდემიოლოგთა და მიკრობიოლოგთა სამეცნიერო ასოციაცია**

# ცნობადი, წარმატებული, დაფასებული...

ქართულმა სამეცნიერო და საექიმო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა, – გარდაიცვალა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სამედიცინო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი, პროფესორი ეთერ ბოცვაძე.

იგი, ექვს ათეულ წელზე მეტი, დაუღალავად და თავდადებით ემსახურა ექიმთა თაობის აღზრდის ურთულეს საქმეს. განვლო ღირსეული გზა სამედიცინო ინსტიტუტის წარჩინებული კურსდამთავრებულიდან და ასპირანტიდან ინფექციურ სნეულებათა კათედრის გამგემდე. ინფექციურ სნეულებათა კათედრას ხელმძღვანელობდა ორი ათეული წელი.

ეწეოდა მრავალმხრივ სამეცნიერო, პედაგოგიურ და საექიმო მოღვაწეობას, ამასთან, განუზომელია ქალბატონი ეთერის მიერ ღვიძლის ვირუსული დაავადებების კვლევასა და შესწავლაში შეტანილი წვლილი. ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან ეს იყო რაფინირებული ბიოქიმიური კვლევის მეთოდების აპრობირება – კათედრისა და ინფექციური საავადმყოფოს ლაბორატორიებში დანერგვა, შემდგომ – ქვეყანაში პირველი სეროლოგიური და იმუნოლოგიური დიაგნოსტიკის ლაბორატორიების შექმნა, რომლებშიც კვლევები ტარდებოდა ულტრათანამედროვე მაღალმგრძნობიარე მეთოდებით; მოგვიანებით– მოლეკულურ-გენეტიკური და ეპიდემიოლოგიური გამოკვლევების ხელმძღვანელობა და ჩატარება.

ცნობადი, წარმატებული, დაფასებული – აი, ასეთი დარჩება ქალბატონი ეთერი კათედრის თანამშრომლებისა და მისი აღზრდილების ცნობიერებაში.



**ელზა ვაშაკიძე,**
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი

# მარადიული ხსოვნა მუდამ შენთან რჩება

70-იანი წლების თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (ინსტიტუტის) სტუდენტებს ბედნიერება გვქონდა, სამედიცინო განათლება მიგვეღო და გვქონოდა ურთიერთობა გამოჩენილ ქართველ მედიკოსებთან. მათი სახელები დღესაც ჟღერს უნივერსიტეტის აუდიტორიებში, მათ მიერ დატოვებული კვალი კვლავ რჩება ჩვენი თაობის მეხსიერებასა და გულში.

ინფექციურ სნეულებათა კათედრა, დაარსების დღიდან, ერთ-ერთი გამორჩეული იყო ინსტიტუტის სასწავლო და სამეცნიერო პროცესში; კათედრის გამგის, პროფესორ **გ. კვიტაშვილის** ლექციებს სტუდენტები ინტერესით და სიამოვნებით ვესწრებოდით, ვიღებდით საინტერესო და საჭირო სამედიცინო ინფორმაციას. სწორედ ამ დროს შევხვდი პირველად ახალგაზრდა **ეთერ ბოცვაძეს,** მისი ლექციებიც გამოირჩეოდა სამეცნიერო სიახლით და საკითხის ფართო გაშუქებით. შემდგომ წლებში, უკვე პრაქტიკოსი ექიმები, ხშირად ვიხსენებდით ქ-ნი ეთერის ლექციებს ვირუსული ჰეპატიტების თემაზე; მის მიერ მოწოდებული მეცნიერული სიახლეები ამ პრობლემის ირგვლივ ძალზედ საჭირო და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჩვენს პრაქტიკულ საქმიანობაში.

განგებამ ინება და აჭარის მაღალმთიან შუახევში განაწილებით მყოფი, სამწლიანი მუშაობის შემდეგ, ჩავირიცხე კლინიკურ ორდინატურაში, სწორედ ინფექციურ სნეულებათა კათედრაზე, რომელსაც უკვე ქ-ნი ეთერი ხელმძღვანელობდა. დღემდე მახსოვს ჩვენი შეხვედრის პირველი დღე, მისი გულთბილი მიღება დაუვიწყარია ჩემთვის. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა...

უმნიშვნელოვანესია პროფესორ ეთერ ბოცვაძის მიერ უნივერსიტეტის ერთ-ერთი გამორჩეული კათედრის ხელმძღვანელობის პერიოდი; კათედრა საუკეთესო ქართველი მედიკოსებით იყო დაკომპლექტებული (აკადემიკოსი **ვ. ბახუტაშვილი,** პროფესორი **ს. ჯაფარიძე,** დოცენტები – **თ. კაციტაძე, გ. ბრეგვაძე, ა. ხაბაზი, ლ. გოგორიშვილი).** ბედნიერი ვარ, რომ ქალბატონი ეთერის თაოსნობით ასეთ პიროვნებებთან მიხდებოდა მუშაობა და გამოცდილების გაზიარება. წარმატებული იყო კათედრის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა, რადგან სიახლის ძიების პროცესი მეცნიერებასა და პედაგოგიკაში მუდმივად მიმდინარეობდა და დღემდე შეუცვლელ ტრადიციად იქცა.

ეთერ ბოცვაძე, როგორც ყველა ცნობილი კლინიცისტი, მუდმივად ხაზს უსვამდა კლინიკის წამყვან როლს. სწორედ ამიტომ კათედრის ყველა წევრი აქტიურად იყო ჩართული ინფექციური პათოლოგიის ცენტრის კლინიკურ საქმიანობაში და სხვადასხვა სირთულის პაციენტებს კურაციას უწევდნენ, როგორც კათედრის გამოცდილი წევრები, ისე ახალგაზრდებიც. იმ პერიოდში მიღებული ცოდნა და გამოცდილება ფასდაუდებელი განძია. თვითონაც დაუზარელი, ჩვენც გვაჩვევდა დისციპლინას და პასუხისმგებლობას ნებისმიერ საქმეში. არაერთხელ აღგვინიშნავს შემდგომ, რომ მასთან მუშაობაში მიღებული ჩვევები და თვისებები თითოეული ჩვენგანის წარმატების ქვაკუთხედად იქცა მომავალში.

განსაკუთრებით სითბოთი გვახსენდება სამსახურში მკაცრი და მომთხოვნი ქ-ნი ეთერის თბილი და უშუალო დახვედრა საკუთარ ოჯახში, რომელიც სტუმარ-მასპინძლობით გამოირჩეოდა – გამოჩენილი ქართველი მედიკოსების ოჯახში ჰარმონიულად იყო შერწყმული ბატონი ამირან კვიტაშვილის, რაფინირებული ინტელიგენტის და შესანიშნავი ექიმის, კეთილგანწყობა ქალბატონი ეთერ ბოცვაძის არაორდინალურ აზროვნებასთან, ქალბატონთან, რომელმაც იტვირთა ,,ინფექტოლოგიის", როგორც მედიცინის დარგის, მეურვეობა და ხელმძღვანელობა მთელი ცხოვრების მანძილზე. მადლიერების გრძნობა, სიტყვებით გამოთქმული, აუცილებელი, მაგრამ მყისიერია... მარადიულია ხსოვნა, რომელიც შენთან რჩება მუდამ...

**თამარ მეგრელიშვილი,**
ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი, სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელი

# მ ა დ ლ ი ე რ ე ბ ი თ...

1984 წლის სექტემბერში, კლინიკურ ორდინატურაში ჩარიცხულმა, ფრთხილად შევაღე კაბინეტის კარი... კედლებზე – ღვაწლმოსილი ექიმების და მეცნიერების ფოტოები... მაგიდაზე – უამრავი ქაღალდი და წიგნი... მაგიდასთან მჯდომმა, ქათქათა ხალათში გამოწყობილმა ქალბატონმა, მკაცრად ამომხედა სათვალიდან და საპასუხო სალმის შემდეგ პირველი დავალება მომცა. ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა...



საოცრად მკაცრი, მომთხოვნი. სიტყვაძუნწი, იშვიათად თუ შეაქებდა ვინმეს, მაგრამ ყოველთვის გრძნობდი, როდის დაუშვი შეცდომა და როდის იყო შენი საქმით კმაყოფილი. ამ სიმკაცრის ფონზე კლინიკის კედლებს მიღმა გაგაოცებდათ მისი თბილი ხასიათი, უშუალობა და სტუმართმოყვარე ოჯახი.

მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ექიმობა მსურდა. ხშირად წარმოვიდგენდი ხოლმე, როგორი უნდა იყოს ექიმი, ადამიანი, რომელზეც, ღვთის შემდეგ, ყველა სხვა ადამიანის ჯანმრთელობაა დამოკიდებული... ვფიქრობდი და წარმოსახვაში ვძერწავდი...

ქალბატონი ეთერის გაცნობისთანავე ჩემი წარმოსახვა რეალობად იქცა. როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ ჩემი განცდა არ ყოფილა ასეთი, ყველა სინდისიერი ექიმისთვის ის იყო მასწავლებელიც, გზის მაჩვენებელიც და დასაყრდენი ექიმის რთულ და ხშირად დაუფასებელ საქმიანობაში.

... უსაზღვროდ მადლიერი ვარ, ქალბატონო ეთერ, რომ თქვენ გახდით ჩემი პროფესიული ზრდის მეგზური... დარწმუნებული ვარ უამრავი ჩემი კოლეგა იზიარებს ჩემს სიტყვებს და კიდევ უფრო მეტ ემოციას, რომლითაც ახლა სავსე ვარ, მაგრამ ვერ გადმოვცემ, რა რთული ყოფილა დაწერო ის, რასაც გრძნობ და განიცდი, დაწერო ის, თუ როგორ გტკივა...

მომენატრებით....

**თამარ გეგეშიძე,**
**ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი**

დამშვიდობება

# მასწავლებლის ხსოვნას

ჩვენი ცხოვრებიდან წავიდა უდიდესი მეცნიერი, ნათელი პიროვნება, პროფესორი ეთერ ბოცვაძე. ამ მოკლე გახსენებით მსურს გამოვხატო არა მარტო მისი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი, არამედ აღვნიშნო ისიც, რომ ქალბატონი ეთერი ჩემს მეხსიერებაში დარჩა, როგორც ბრწყინვალე ექიმი, თვალსაჩინო მეცნიერი, არაორდინარული პიროვნება და დიდი მასწავლებელი.

თამამად შემიძლია ვთქვა: როგორც სიცოცხლის პერიოდში, ისე მის შემდეგაც ეთერ ბოცვაძის სახელს ყოველთვის მოიხსენიებენ პატივისცემითა და სიამაყით. მან თავისი ღვაწლით, ნამდვილად დატოვა ნათელი და ხანგრძლივი ხსოვნა...

რაში მდგომარეობს პროფესორ ეთერ ბოცვაძის უზარმაზარი ავტორიტეტი ჩვენთან და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ; სად იმალება ამ უნიკალური პიროვნების საქმიანობის მთავარი შინაარსი; იქნებ ეს არის ფასდაუდებელი როლი ჰეპატოლოგიისა და ინფექციურ დაავადებათა პრობლემების პოპულარიზაციაში? იქნებ მისი უნიკალურობა განისაზღვრებოდა ფართო განათლებით, საბუნებისმეტყველო, სამეცნიერო და ჰუმანიტარული ცოდნის შერწყმით, კულტურული დიაპაზონის სიდიდით, რომელიც ნათლად ჩანდა საუბრისას, ასევე, მის შრომებსა თუ ლექციებში. ჩვენ გვიზიდავდა პროფესორისთვის დამახასიათებელი გამართული ქართული და რუსული ენით გადმოცემული აზრი, როგორც ლექციებზე, ისე მის მიერ გამოყენებულ წიგნებში.



ბუნებით დაჯილდოებული ინდივიდუალობის მქონე, ძლიერი ნებისყოფის მიზანმიმართულ ემოციურ პიროვნებაში იმალებოდა მისი წარმატებისა და ზოგჯერ მწუხარების ახსნა, რომელიც მის ხანგრძლივ ცხოვრებას თან სდევდა.

მასთან ურთიერთობისას გიპყრობდა უცნაური გრძნობა: უბრალოდ გააკეთე, რასაც გეუბნებიან, გირჩევენ, გკარნახობენ, გააკეთე ყველაფერი ეს პატიოსნად და წარმატება არ დააყოვნებს. ის ნებისმიერ მომენტში მზად იყო დისკუსიისთვის, მაგრამ, ამავე დროს, არ მქონდა სურვილი, როგორც ეს ხშირად ახასიათებს ახალგაზრდა ასაკს, წინააღმდეგობა გამეწია მასწავლებლისთვის. ინტუიციით ვგრძნობდი. რომ ეს იქნებოდა არასწორი და არაფრის მომცემი. და თუ ეს მაინც ხდებოდა, პროფესორს შეეძლო მოვლენათა მიმართულება მოექცია საჭირო კალაპოტში საინტერესო ისტორიის დემონსტრირებით. ერთად მუშაობის პერიოდში ჩვენ გვქონდა თბილი და ჰარმონიული დამოკიდებულება.

ბოლო პერიოდში ქალბატონი ეთერი მძიმედ ავადმყოფობდა, მაგრამ შეხვედრისას მაინც ინტერესდებოდა თავისი მოსწავლეების საქმიანობით, ხარობდა მათი წარმატებებით.

მან უშურველად გამიზიარა თავისი ცოდნა, ექიმის ღირებული გამოცდილება, ის იყო ჩემი სამეცნიერო შრომის ხელმძღვანელი და, ასევე, ცხოვრების ერთ-ერთ ეტაპზე ჩემი მკურნალი ექიმი.

უდიდესი შრომისმოყვარეობა, ცალკეული წარუმატებლობის და მრავალრიცხოვანი წარმატებების სწორი შეფასება, ქალბატონ ეთერს საშუალებას აძლევდა მუდმივად გაეზარდა შემოქმედებითი მოქნილობა, რომელიც განსაზღვრავდა მის ფართო სამეცნიერო დიაპაზონს.

პროფესორ ეთერ ბოცვაძის შემოქმედებით სფეროში შედიოდა ფუნდამენტური გამოკვლევები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ვირუსული ჰეპატიტების დიაგნოსტიკის და მკურნალობის საკითხები. ეს შრომები იყო ნოვატორული, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ამავე დროს, მის შრომებს ახასიათებს გამოყენებითი პრაქტიკული ხასიათი, სადაც განსაკუთრებით კარგად გამოიკვეთა ავტორის მეცნიერული ნიჭი.

მეცნიერის ერუდიცია თვალნათლივ ჩანდა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე, ის ყოველთვის იდგა წინა რიგებში, მისი გადაწყვეტილებები იყო ეფექტური, ინტერპრეტაცია – არატრივიალური, ხოლო შედეგების გადმოცემა – სარწმუნო.

ქალბატონი ეთერი იყო მრავალმხრივ გამორჩეული პიროვნება – ლიტერატურის მოყვარული, პოლემისტი. სამეცნიერო ოპონენტებს არაერთხელ უგრძვნიათ მისი არგუმენტების ძალა, ხოლო კოლეგებს – პატივისცემა და თანადგომა.

არასტანდარტული აზროვნება და სწრაფი რეაქცია იყო ეთერ ბოცვაძის დამახასიათებელი თვისება, ოპტიმიზმით არწმუნებდა და ამხნევებდა მათ, ვინც დროებით წარმატებას ვერ აღწევდა, ხოლო წარმატებულებს შემდგომი წარმატებისკენ უბიძგებდა.

ქალბატონი ეთერი გვასწავლიდა: **– როგორც ცხოვრებაში, ასევე, მეცნიერებაში, თავი უნდა დაუხაროთ არა თანამდებობას, არამედ ნიჭს.** იგი იყო ბრწყინვალე ორგანიზატორი, რომელმაც გამოიყენა თავისი სიმკაცრე, შთამბეჭდაობა და მომხიბვლელობა საბჭოთა და ქართული ინფექტოლოგიის წარმატებების მიღწევაში. იგი იყო ქართული ჰეპატოლოგიის დამფუძნებელი და სკოლის შემქმნელი; „წიგნიდან – პაციენტთან და კვლავ – წიგნთან" – იყო მისი დევიზი და ცხოვრების კრედო.

ძვირფასო მასწავლებელო, მადლობა ყველაფრისთვის!

ამქვეყნიურ ცხოვრებაში ნათელ პიროვნებას, იმქვეყნიურ სასუფეველშიც ნათელი დაგადგებათ!

**მანანა ხოჭავა,**
**თსსუ-ის ბავშვთა ინფექციურ სნეულებათა მიმართულების სრული პროფესორი**

# კონფერენცია სპორტულ მედიცინაში

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით და პატრონაჟით ჩატარდა მორიგი კონფერენცია სპორტულ მედიცინაში, რომლის მხარდამჭერები იყვნენ: **საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.** აღნიშნულ სამეცნიერო-პრაქტიკულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს სპორტული მედიცინის სპეციალისტებმა აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, ბელორუსიიდან, პოლონეთიდან, გერმანიიდან, საქართველოდან.

კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებებით წარსდგნენ საერთაშორისო ექსპერტები: **ნ. კრუჩინსკი, ი. ჩარიკოვა** (ბელორუსია), **პ. დაროზევსი** (პოლონეთი), **დ. კოპკი** (პოლონეთი) და **ა. გიურ-ბახერი** (გერმანია), რომელთა მოხსენებები სპორტული მედიცინის ისეთ აქტუალურ პრობლემებს შეეხო, როგორიცაა: სპორტსმენთა რეაბილიტაცია, სპორტული ფსიქოლოგია, სპორტული ტრავმების პრევენცია, ბრძოლა დოპინგის წინააღმდეგ და სპორტული ტრავმატიზმი.

საინტერესო მოხსენები წარმოადგინეს ქართველმა სპეციალისტებმა: **ვ. ახალკაცმა, ქ. ბერიძემ, ვ. მელაძემ, ზ. კახაბრიშვილმა, პ. კასრაძემ, მ. დავითაშვილმა და რ. სვანიშვილმა.** მათ განიხილეს ახალი მონაცემები სპორტსმენის გადაწვრთნის, წონის დაკლების, საშუალო სიმაღლის მთიან ზონაში სპორტსმენთა ზოგადი ფიზიკური მომზადების, სპორტსმენთა დღის რეჟიმის და სპორტსმენთა მიერ საკვები დანამატების გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით. პროფესორ რ. სვანიშვილის მიერ შემაჯებელ გამოსვლაში განხილული იყო ის აქტუალური საკითხები, რომლებიც, სადღეისოდ საქართველოში სპორტული მედიცინის წინაშე დგას და გადაწყვეტას მოითხოვს.

კონფერენციის მუშაობაში აგრეთვე მონაწილეობდნენ პროფესორები: დ. წვერავა, გ. სარალიძე, დ. ჩიტაშვილი, სპორტული გუნდების ექიმები, მწვრთნელები, წამყვანი სპორტსმენები და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტები.

აღსანიშნავია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ზემოაღნიშნული ფაკულტეტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ასოცირებული პროფესორის, ლელა მასხულიას დამსახურება, რომელმაც დიდი შრომა გასწია მოხსენების რუსულ და ინგლისურ ენებზე მაღალხარისხიანად თარგმნისთვის. საერთაშორისო ღონისძიების ჩატარების ძირითადი ორგანიზატორები გახლდნენ ბატონები: **ზ. კახაბრიშვილი და ვ. ახალკაცი**, რომლებმაც ეს თავყრილობა მაღალ აკადემიურ დონეზე წარმართეს.

ვიმედოვნებთ, რომ მსგავსი სახით სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – კურსები მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სპორტული მედიცინის შემდგომი განვითარების საქმეში, რასაც, უდავოდ, უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

**პავლე კასრაძე,**
**მედიცინის აკადემიური დოქტორი**

# ფუნდამენტური სახელმძღვანელო




აკადემიკოს **გივი თურმანაულის** ავტორობით და პროფესორ **ნელი ანთელავას** რედაქტორობით გამოვიდა ახალი გადამუშავებული სასწავლო სახელმძღვანელოს – **„სამედიცინო ბაზისური ფარმაკოლოგიის"** მე-9 გამოცემა, რომელიც შედგენილია ახალი სასწავლო პროგრამის ევროპული მოქმედი სილაბუსის და საგნის სტანდარტის საფუძველზე მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.

ეროვნული სახელმძღვანელო – **„სამედიცინო ფარმაკოლოგია"** – ქართულ ენაზე შექმნილი ერთადერთი წიგნია, რომელსაც საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული აქვს სახელმწიფო გრიფი – „სახელმძღვანელო უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების (უნივერსიტეტების და სხვა) სტუდენტებისთვის".

ფუნდამენტურ სახელმძღვანელოში განხილულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ საქართველოსთვის რეკომენდებული, სასიცოცხლოდ აუცილებელი საერთაშორისო (გენერიული) 400-ზე მეტი ეტალონური წამალი.

„სამედიცინო ფარმაკოლოგიის" ეროვნული სახელმძღვანელო 20 წელზე მეტია ისწავლება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში; მისი შინაარსი შეესაბამება ევროპის კრედიტ-ტრანსფერული სისტემის (ECTS -ის) სტანდარტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს და გამოიყენება სტუდენტებისა და ექიმებისთვის; სახელმძღვანელო შინაარსობრივად და ორიგინალური თვალსაზრისით მაღალი კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა.

დაუვიწყარ საღამოზე

# „როდესაც ვმღერი"




**„საღამო მშვიდობისა!"** – ასე დაიწყო თბილსის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „წითელ დარბაზში" შეხვედრა ცნობილ ექიმთან, პოეტთან, სიმღერების ავტორთან, მშვენიერ **ნატა ღეჩუაშვილთან.**

კარგად გვახსოვს 80-იანი წლების სტუდენტური ცხოვრება, როდესაც სამედიცინო უნივერსიტეტის (ინსტიტუტის) შემოქმედებით ცხოვრებას ალამაზებდა ნატას მრავლისმთქმელი, სიყვარულით გამთბარი ლექსები და მათზე შექმნილი სიმღერები, რომელთაც ხშირად თვითონ ასრულებდა.

ეს შეხვედრაც დიდი ხნის მოლოდინის ერთგვარი გამართლება და მისი შემოქმედების თავმოყრა გახლდათ – მკითხველმა, ამავე დროს, დენტური საღამოების თანაავტორს და წამყვანს: – „შენზე ვუამბე გაზაფხულს, გრძნობა ვასინჯე ცისკარს, ამ ქარსაც გამოვკითხე და სიტყვა ვაწიე იმ ქარს, ბოლოს მივაგენ გვირილას, ათასფურცელა მთის ქალს, სულ ფურცელ-ფურცელ ვამისნე: – მიყვარს?, არ მიყვარს!, მიყვარს!; არ დამიმალა გვირილამ: – გიყვარს, ძალიან გიყვარს! – იმ საღამოსაც, იმდროინდელი ალტკინებით რომ კითხულობდა მეგობრის საუკეთესო ლექსის სტრიქონებს, რასაც დარბაზიც აჰყვა და ძველებურად ტაშს უკრავდა ნატას, ახლა უკვე არა როგორც სტუდენტს, არამედ კოლეგას და წარმატებულ შემოქმედს...



ძველთან ერთად, არაერთმა ახალმა ლექსმა და სიმღერამ მოხიბლა მსმენელ-მაყურებელი.



მიიღო ნატას პოეტური კრებული **„ფოთლის აღსარება"**, სადაც ნაცნობ სტრიქონებთან ერთად, ახალი ლექსებიცაა თავმოყრილი.

საღამო საინტერესოდ და ჩვეული მუხტით მიჰყავდა ყველასთვის ცნობილ და ნიჭიერ ექიმსა და შემოქმედს, **ჯონი ჯანაშიას** – ნატას სტუ-

მღეროდა ნატა და მასთან ერთად მისი შვილებიც **– გვანცა და ვანიკო დარასელიები;** კომპოზიტორები **ოთარ ტატიშვილი და გია მაჭარაშვილი** ასრულებდნენ მის ლექსებზე შექმნილ სიმღერებს, **თიანელმა მოსწავლეებმა** კი შთამბეჭდავად წარმოადგინეს თავიანთი სახელოვანი თანასკოლელის შემოქმედება.



დარბაზმა, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ისევ აჩუქა სიყვარული ექიმ-შემოქმედს, დედას და კოლეგას, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ ქალბატონს, რომელმაც მადლობის სიტყვები არ დაიშურა საღამოს ორგანიზატორების – მშობლიური უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის, სპორტისა და ხელოვნების ცენტრის მესვეურების, დ. ტატიშვილის ცენტრის ხელმძღვანელობის, ასევე მსმენლის მიმართ, მისი ნიჭის ამგვარი დაფასებისა და სიყვარულისთვის.

საღამო დასრულდა ნატა ღეჩუაშვილის მიერ შექმნილი „სტუდენტური ჰიმნის" შესრულებით, რომელსაც საღამოს მონაწილეებთან ერთად მღეროდა მთელი დარბაზი.

**მანანა ფხალაძე,**
**დარეჯან კომლაძე**